

ბრძანება №01-19/6

2014 წლის 17 მარტი

ქ. თბილისი

**საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 89<sup>1</sup> მუხლის, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლისა და 23-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხა) მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმა (დანართი №1-ის შესაბამისად);

ბ) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №2-ს შესაბამისად).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამისათვის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებიდან.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო



საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმა №000000

(სამედიცინო დაწესებულების დასახელება)

**მოსარგებლე:**

სახელი: .....

გვარი: .....

პირადი ნომერი:

**ფაქტობრივი მისამართი:**

მუნიციპალიტეტი: .....

ქალაქი: .....

დასახლებული პუნქტი: .....

მისამართი: .....

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....

**მშობელი (დედა, მამა) ან მეურვე/მზრუნველი (ივსება 18 წლამდე მოსარგებლის შემთხვევაში)  
(გაუსვით ხაზი)**

სახელი: .....

გვარი: .....

პირადი ნომერი:

მოსარგებლე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას დარეგისტრირდეს აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში.

მოსარგებლის ხელმოწერა: ..... თარიღი: .....

**კანონიერი წარმომადგენლის (დედა, მამა, და, ძმა, ბებია, პაპა, მეურვე, მზრუნველი, სხვა)  
(გაუსვით ხაზი)**

სახელი: ..... გვარი: ..... პირადი ნომერი:

ხელმოწერა: ..... თარიღი: .....

**დამკვეთი:**

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №

**„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულება**

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის (შემდგომში – მკაცრი აღრიცხვის ფორმა) მოხმარების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. მკაცრი აღრიცხვის ფორმა, მისი დაცვის სირთულეთა გათვალისწინებით მიეკუთვნება მკაცრის აღრიცხვის ფორმის მესამე კატეგორიას („მარტივი ტიპი“).

**მუხლი 2. მკაცრი აღრიცხვის ფორმით მომარაგება**

1. მკაცრი აღრიცხვის ფორმით გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელთა მომარაგებას ახორციელებს სააგენტო.

2. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეკვეთას სააგენტო აწარმოებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად პოლიგრაფიულ საწარმოში, ხელშეკრულების საფუძველზე.

3. პოლიგრაფიული საწარმოდან ფორმის გამოტანის უფლება აქვს სააგენტოს ხელმძღვანელი პირის მიერ განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ პირს, მინდობილობის სფუძველზე.

4. მკაცრი აღრიცხვის ფორმები ექვემდებარება აღრიცხვა-ანგარიშგებას.

5. მკაცრი აღრიცხვის ფორმების მარაგის შექმნას, ბეჭდვას, ტირაჟირებას, აღრიცხვასა და სამედიცინო დაწესებულებებისათვის უსასყიდლო გადაცემას უზრუნველყოფს სააგენტო.

**მუხლი 3. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვა**

1. მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

2. სათავსი, სადაც ინახება მკაცრი აღრიცხვის ფორმები, უნდა იყოს მიუწვდომელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

3. გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე შევსებული მკაცრი აღრიცხვის ფორმებისა და თანდართული შესაბამისი დოკუმენტის ასლების მატერიალური ფორმით შენახვას პროგრამაში მიმწოდებლად რეგისტრაციის პერიოდისა და რეგისტრაციის შეწყვეტიდან არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში, გარდა ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 2 აგვისტოს ბრძანება №01-50/ნ - ვებგვერდი, 03.08.2017წ.*

**მუხლი 4. მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემა**

მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემა ხორციელდება სააგენტოს მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებზე, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, რომლის დროსაც დგება მიღება-ჩაბარების აქტი.

**მუხლი 5. ბენეფიციარის რეგისტრაცია**

1. მკაცრი აღრიცხვის ფორმის შევსებას უზრუნველყოფს გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება.

2. მკაცრი აღრიცხვის ფორმები ექვემდებარება აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში სააგენტოსა და შესაბამისი გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ.

3. მკაცრი აღრიცხვის ფორმა შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი კოპირებადია.

4. მკაცრი აღრიცხვის ფორმა უნდა შეივსოს სრულყოფილად. დაუშვებელია მასში ჩანაწერის წაშლა, ჩასწორება და/ან მოშორება კორექტორის დახმარებით.

5. მკაცრი აღრიცხვის ფორმის შევსება ხდება თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად, რომელსაც თან ერთვის ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო წარმომადგენლის მეშვეობით რეგისტრაციისას, დამატებით, წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიმწოდებლის მიერ დამოწმებული ასლი. არასრულწლოვანი პირის რეგისტრაციისას ერთ-ერთი მშობლის მოთხოვნით, მშობელს წარმომადგენლობის დოკუმენტი არ მოეთხოვება.

6. მკაცრი აღრიცხვის ფორმის სრულყოფილად და სათანადოდ შევსების, აგრეთვე, მასზე ხელმოწერით მოსარგებლის/წარმომადგენლის მხრიდან სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე თანხმობის დადასტურების შემდეგ, მკაცრი აღრიცხვის ფორმის კოპირებადი ნაწილი გადაეცემა მოსარგებლეს, ხოლო სრულყოფილად შევსებული და ხელმოწერით დადასტურებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის პირველი პირი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რჩება მიმწოდებელთან.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევით შევსებული მკაცრი აღრიცხვის ფორმა, როგორც გამოსაყენებლად უვარგისი, ექვემდებარება ჩამოწერას, ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად.

8. გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარის რეგისტრაციის პროცესი დასრულებულად ჩაითვლება მკაცრი აღრიცხვის ფორმის სათანადო წესით შევსებისა და მის საფუძველზე საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სპეციალურ ელექტრონულ მოდულში რეგისტრაციის შემდეგ.

9. რეგისტრირებული მოსარგებლის შესახებ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის სპეციალურ ელექტრონულ მოდულში ასახული ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს თანხმობის ფორმაში ასახულ ინფორმაციასთან.

10. ბენეფიციარის ხელახალი რეგისტრაცია, მათ შორის, მკაცრი აღრიცხვის ფორმის გამოსაყენებლად უვარგისობის შემთხვევაში, ხორციელდება პირველადი რეგისტრაციისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №01-77/ნ - ვებგვერდი, 30.10.2014წ.*

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 2 აგვისტოს ბრძანება №01-50/ნ - ვებგვერდი, 03.08.2017წ.*

## **მუხლი 6. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა**

1. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომების გამო;

ბ) ბლანკის დაზიანების გამო;

გ) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სპეციალურ ელექტრონულ მოდულში რეგისტრაციის შეუძლებლობის შემთხვევაში.

2. სამედიცინო დაწესებულების მიერ გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმა უბრუნდება სააგენტოს.

3. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა უნდა მოხდეს სათანადო კომისიის სხდომის ოქმისა და ჩამოწერის აქტის მიხედვით, რომელიც იქმნება სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილ უნდა იქნეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერის აქტში.

4. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაცია ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი 7. გამოუყენებელი მკაცრი აღრიცხვის ფორმების დაბრუნება**

სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში სააგენტოს დაუბრუნოს გამოუყენებელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები.

#### **მუხლი 8. პასუხისმგებლობა ამ წესით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის**

პროგრამის გეგმიური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მოსარგებლეთა რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილი პირობების დარღვევისათვის, მათ შორის, შევსებული ან შეუვსებელი თანხმობის ფორმების დაკარგვის, განადგურების, დაზიანების ან სხვა სახით ხელყოფისათვის, მიმწოდებლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 და/ან მე-20 მუხლების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებით ან შესაბამის ფაქტზე მესამე პირების მიმართ დაწყებულია სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება (უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით).

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 2 აგვისტოს ბრძანება №01-50/ნ - ვებგვერდი, 03.08.2017წ.*